1918 წ.— № 4 ქვირა, თებერვლის 18 ფასი 60 კაპ. წელიწ დი მეექვსე გამოცემის

ვალ. შალიკაშვილი
სასცენო და სამწერლო მოღვაწეობის 15 წლის შესრულების გამო

სადღეისო ბარათები

თავისანაბარა

რასაც კაცი თავის თავს უზავს, მტერო მიადგეს ვერ უზავსო.

ასეთი საქმე გვემართება ამ ჟამად ჩვენ.

მთელი საუკუნის განმავლობაში უცხო მეფეების თვითმპყრობელობამ და უკანასკნელმა საარაკო ომიანობამ ის ვერ დაგვმართა, რასაც ახლა თვით ჩვენივე შვილთა შეუკნებლობით საკუთარ თავს ვატეხთ.

გარეშე-მორეულთა თვალში მოსაწონი და საქებარი ხალხი ლამის სამარცხვინო და უღირსნი შევიქმნეთ ჩვენი საყვარელი დედა სამშობლოხი.

ჩვენი პოლიტიკური პარტიების სენი—ერთმანეთის გაუტანლობა —ხალხსაც მოედვა და, აჰა, გადიხედეთ რა ჰხდება ჩვ ს საყვარელ სამშობლოში.

ქართველ ჯარის კაცთა თავახსნილობა-უწესრიგობა, ამავე ქართველი ჯარის სახელით მშვიდობიან ხალხის რბევა -აწიოკება, ჯარში გაუგონლობა, სოფლად ზოგიერთ მოსულ ჯარისკაცთა წასისინებით ტყეების გაკაფვა, მგზავრთა გაძარცვა, ყოფილ მემამულეთა ხოცვა, ინტელიგენციის დევნა და სხ

იქნება ყოველივე ეს თვით ქართველ ჯარისკაცთა ნამოქმედარი არ არის, მაგრამ როცა ეს ჰხდება საქართველოში, დაბრუნებულ შეიარაღებულ ჯარისკაცთა თვალწინ, მთელი ბრალი ქართველ ჯარის კაცს ედება.

განა თავისუფლება—თავახსნილობა და გათახსირება? განა თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთის აღარა გავიგოთ რა და ჩვენივე კერა საკუთარი ხელით დავამხოთ?! განა თავისუფლება რომ მოვიპოვედ, სამშობლოისა, ჩვენ. მიწა-წყლისადა ხალხის წინაშე პასუხს მგებლობისაგა ნაცთავისუფალნი ვართ?!

გარეშე მტერი გაფაციცებით თვალ ყურს გვადევნებს, რომ მძინარს მოგვასწროს და ხელთ გვიგდოს, ჩვენ კი ეს აინუნშიაც არ მოგვდის. ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნულნი ირაზმებიან ჯარად, იარაღით, ფულით, ქონებით, წესიერებით და ჩვენ?—ოჰ, ღმერთო ჩემო: რა რიგ გულსაკლავია, რომ ჩვენი მხედარი—ჯარის კაცი სხვის ხელში არწივია, ლომია, შინ-კი—მყრალი სვავი, კატა, თავისიანზე მონადირე...

ერთი მაინც შეხედეთ შავბნელი ძალნი, ბოროტი განზრახვით აღჭურვილი ხალხნი რა შეუჩერებლივ და ბეჯითად მოიწევიან ჩვენ ჩასანთქავად და შენ—ქართველო ჯარის კაცო რას ჩადი, რას შვრები?!

ნაბატონართ რომ ესევი და ჰკლავ, ვითომ რაო: განა სისხლი სისხლით მოიბანება? უ ხო მგზავრს რომ სცარცავ, განა სხვასთან ტკბილი მეზობლობა არ გინდა? ვიღაცა და რაღაცა ლოზუნგით რომ ავკაცობ, ხვალ და ზეგ განა შენს ცოლშვილს, შენს კერას, შენს მეზობელს არ უნდა დაუბრუნდე?!

იცოდე შენი მომავალი —სამშობლო საქართველოს და შენთა ძმათა მუშა გლეხთა ბედნიერება შენ უნდა გამოსჭედო და ნუ თუ ამ დიად მოვალეობას ღირსეულად არ აღასრულებ?!

გონს მოდი, გონს ჩემო ძმაო ქართველო ჯარის კაცო, და სხვაზე უკეთესი თუ ვერ იქნები შეგნებით, წესიერებით, მოქალაქეობით. უარესი მაინც ნუ შეიქნები.

იოსებ იმედაშვილ

შემოკრბით ქაროველთ გმირებო,
მამული გვედრით შველასა,
ბნელეთი თუ არ შევკვეცეთ,
დაგვიმორჩილებს ყველასა,—

მაშინ ციხე და ხუნდები
ახალად დაიჭედება;
სამშობლოს ლუკმად გვიქცევენ
ქართველთ გმირთ დაეცინება!,

დ გაბრუაშვი ლი

მსახიობ-მწერალი



ვალერიან ირაკლის ძე შალიკაშვილი
სასცენო და სამწერლო მოღვაწეობის 15 წლის შესრულების გამო)

ქართველ მოღვაწის—მსახიობ-მწერლისა და კატორღელის ბედი ერთმანეთისგან რომ დადით არ განსხვავდება, ეს ყველას მოეხსენება, ვინც-კი ახლოსიტნობს ჩვენის თეატრისა და მწერლობის მუდმივ მუშაკთ.

მართალია, სპეტიოს უღელი იგი, მაგრამ თერიად მძიმეა.

და, აი, ამ მძიმე უღელს მთელი ხუთმეტი წლის განმავლობაში ზიდავდა ჩვენი, ბოლოხანებში დავადმოფეებული, მსახიობ-მწერალი ვალერიან ირაკლისძე შალიკაშვილი.

ვ. შალიკაშვილი—მსახიობი და რეჟისორი, ვ. შალიკაშვილი—დრამატურგი, ვ. შალიკაშვილი—ბელეტრისტი,—აი ის სამსახოვანი პირიანება, რომელიც ყოველ დრეში ნიჭიერად და მუუაითად ემსახურება მშობელი ერის კათვითცნობიერებას.

ვ. შალიკაშვილი დაიბადა 1874 წ. სოფლოდ კავკასიის რეალურ სასწავლებელში, სადაც 4 კლასის კურსი გაათავა. პანსიონში ყოფნის დროს სამშობლო ენას სრულიად გადაეჩვია, ქართულს ერთ სიტყვასაც ვერ ახერხებდა, მხოლოდ 17 წლისამ მოჰკიდა ხელი სამშობლო ენის შესწავლას და საუკეთესოდაც შეისწავლა

სცენაზე პირველად გამოვიდა 1902 წ. ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით დეკანოზის როლში („ურიელ აკოსტაში") და პირველი გამოსვლითვე საყოველთაო ყურადღება მიიქცია თვისი დაკვირვებით და ბუნებრივი სასცენო ნიჭით, რის შემდეგ მიწვეულ იქმნა დასში. 1909 წ. მოსკოვს წავიდა იქაურ სამხატვრო თეატრში რეჟისურის შესასწავლად, სადაც დაჰყო ერთი წელიწადი და 1910 წ. სამშობლოში დაბრუნდა. რუსეთიდან დაბრუნებულმა პირველად დასდგა „სამშობლო" დ ერისთავისა, შემდეგ „მსხვერპლი" ი გედევანიშვილისა, „სინდე" მისივე (22 ჯერ) და სხ. როგორც რეჟისორმაც კიდევ უფრო დიდი ყურადღება მიიქცია და ერთ პირველ რეჟისორთაგანის სახელი დაიმსახურა როგორც სამხატვრო სახელოვნ. გემოს მქონემ, განიცალებულმა და ნიჭიერმა. ამის შემდეგ რეჟისორ მსახიობად იყო ხოდმე, მიწვეული თბილისის, ქუთაისის, ბათომის, ბაქოს და სხ. სცენებზე,—ზამთრობით დიდ ქალაქებში, ზაფხულობით—დაბა-სოფლებში 1915 წ, ბაქოში მსახურების დროს ჭლექით ავად გახდა, რის გამოც სამზეოდ ოჯახის ხარჯით გაიგზავნა სოხუმს და სხვა აგარაკებში, ოდნავ განკურნების შემდეგ ისევე დაუბრუნდა საყვარელ საქმეს—სცენასა და წელეანდელი თბილისის სეზონიც, მაუხელავად იმისა რომ მრავალი და ბრკოლება ედობებოდა, ნიჭიერად წარმართა.

სამწერლო ასპარეზზე პირველად გამოვიდ 1905 წ. გაზ. „ეგერია"-ში ფ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობის დროს და მას შემდეგ სხვა და სხვა ყურნალ გაზეთებში არა ერთი და ორი ნიჭიერად დაწერილი მოთხრობა, იუმორისტული ამბავი, თუ წერილი მოთავსა. კალამი მისი ბასრია, სიტყვა ჩამოგვირისტებული, საკანი დაწერილობისა საყოველთაო საყურადღებო, გამოთქმა ნათელ-მკაფიო.

დრამატურგიაშიც არა ნაკლები ნაყოფიერება ნიჭი გამოიჩინა. დასწერა ორიგინალური პიესები: „გადაბრალი ბუსა", „ოჯახი", უნიადაგონი, არა მზადები, უპრეტენზიო კომედია, ჩვენები, გაწვეტილი ჯაჭვი, და სხ. შარჟები და მრავალი ნათარ-

გმნი ბიესები (როგორც შეგიტუეთ, ამ ეამადაც სწერს ახალ ბიესს.) როგორც დრამატურგი, კარს უტრიალებს ჩვენს საზოგადოებიგ მანკიერებანაკლს და ამ დარგში რამდენათაც სელოვან-მხატვარი შემომქმედია, იშდენად სამოქალაქო მისწრაფებით გაჟღენთილი ბუბლიცისტ-ადმზდელი. თითქმის ყველა მისი ბიესა მუდმივ სარეპერტუარო.

აჭა, მისი ნამოდვაწეების ნაწილი: ხუთმეტი წლის განმავლობაში იგი დაუღალავად, დადის მუეაითობით და ნიჭიერად ემსახურებოდა ჩვენს მწერლობასა და თეატრს. ასეთ სამსახურს, რა თქმა უნდა, დათესებაც ესაჭიროება.

ქართველ მსახიობთა კავშირის წესდებით მცირე იუბილეები ურეოთეალია, აღკვეთილია ბენეფისებიც ვიდრე მსახიობი უწეებულ ხანას აუ შესრულებს. ვ. შალიკაშვილს ბრეველი ხანა—15 წელი ამ სეზონში უსრულდება.

ამის გამო ამხანაგები თებერვლის 15 უმართავენ საბენეფისო წარმოდგენას. იმედია, ეს ბენეფისი ნამდვილ დღესასწაულად გადაქცევა ჩვენი საყვარელი მწერალ-მსახიობის სადღეგრძელოდ.

ვუსურვებთ ამ ჩვენი სცენისა და მწერლობის ერთ მუეაით ჭურუმ-მუშაკთაგანს დღემდე განვლილ ნარ-ეკლიანი გზა მომავალში ია-ვარდებით მოჭეენოდეს!

იოსებ არიმათიელი.

ვ. ი. შალიკაშვილი მარჯებში

ქართველო ნუ ღვრ ქართველს სისხლს

საზარელი ამბები მოდის ქართლიდან.

თავზე ხელაღებული ბრბონი ჩალადაც არ აფასებენ ადამიანის სიცოცხლეს.

ბრალიანთან უბრალოსაც სპობენ.

ნაბატონარ მოხუცებთან ერთად არ ინდობენ მანდილოსნებს, ახალგაზრდა ქალებს და სრულიად უდანაშაულო ბალღებს...

დახოცილთ ან საკირეში ჰყრიანა ანუ თვისსავე სახლში მშიერ ძალღებთან ერთად ჰეტავენ.

არავინ დამკრძალავი, არავინ პატრონი!

ასეთ საქციელს რომ გრძნობის გაველურების გარდა შეიძლება გადამდები უკურვნელი სენიც მოჰყვეს — ამას ანგარიშს აღარ უწევენ.,.

მერე განა ამას ჩვენი გლეხი—ჩვენი სოფლის ალალ მართალი მუშა სჩადის?!—არა და არა!

მართალია ცხვარი წყნარია, თუ გაცხარდა ცხარიაო, მაგრამ ჩვენი ხალხი ისე არ გაველურდება რომ ლმობიერება და კაცთმოყვარეობა ასე ამოიშრიტოს გულიდან.

მართალია, ჩვენს გლეხს, განსაკუთრებით ქართველს გაცხარებისა ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ის მაინც დინჯათ ელის საქმის გონივრულად გარდაწყვეტას.

ასეთი ,,კულტურა,'' ასეთი მესისხრობა სწორეთ იმათი ბრალია, რომელნიც ასჩვიდმეტი წელიწადი კისერზე გვასხდენ, ახლა ჰგრძნობენ, რომ ბატონობა საბოლოოდ ფეხქვეშიდან ეცლებათ და ჩვენი ერთმანეთის წაკიდებით ჰსურთ თავისი თავი მოგვანატრონ.

ყოველივე ეს სწორედ იმათი ბრალია, რომელთაც ქართველი ხალხის გამოფხიზლება ძილს უფრთხობს.

სწორედ იმათი ბრალია, რომელთაც სურთ ქართველთ ნაოხარზე იხარონ.

და გაბრაზებული, გარეშე მტრისგან ილაჯგაწყვეტილი საწყალი ქართველი მშრომელი ხალხი ასეთ პრო

ვაკატორთა მახეში ებმის...

ძმანო, მრავალ ტანჯულ საქართველოს მრავალ-ტანჯულო მიწის მშრომელნო, რევოლიუციამდე გლეხად წოდებულნო, დღეს-კი თავისუფალნო, თუ თქვენ ქართველის სახელს ატარებთ ანუ საქართველოს შვილნი ხართ, ნუ ღვრით ქართვლის სისხლს, სისხლში ნუ ისვრით ხელს. ნუ იფიქრებთ, ვითომც საქართველოში შეიძლებოდეს თავადაზნაურობის ბატონობა, თავადაზნაურობამ მთელი თვისი საზოგადო ქონება—სამოც მილიონამდე შეძლება—ქართველ ხალხს გადასცა. თავადაზნაურთა კერძო მამულები, რომელთა უმეტესობა ბანკშია დაგირავებული, ქართველი მიწის მშრომელი ხალხის კუთვნილებათ უნდა გადვიდეს.

მაშ რიღასთვის ხოცავ თავადაზნაურს?—იმიტომ რომ თავად აზნაურია? იცი თუ არა, რომ ჩვენი დიდებულნი კაცნი აკაკი, ილია, არჩილ ჯორჯაძე, კაკი წერეთელი, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და ბრავალი სხვანი თავად აზნაურნი იყვნენ და არიან? მერე განა ყველა ესენი თქვენთვის თავდადებულნი არ არიან, მაშინ როდესაც რუსეთის თავად აზნაურობა რეაქციონერი იყო? ვინ იცის უსუსურთა დახოცვით რამდენი მომავალი ეროვნულ-კაცობრიული მნათობი ჩააქრე?

იცი თუ არა, რომ ასეთი ხოცვით მტერს კი არა ჰკლავ. არამედ შენს მოძმეს, რომელიც ხვალ და ზეგ გვერდს უნდა ამოგიდგეს?

და თუ უწინ ნაბატონარი გადუხეირებდა, დღეს შენ ხელთ არის შენი ბედის გამგეობა: ისე მოაწყე ცხოვრება, რომ მზემ შენთვის უქრობლად ამოაშუქოს და ამ მზის სხივებს ნურც სხვებს ჩაუქრობ. ამისთვის კი საჭიროა დროზე შეკრიბო შენი დამფუძნებელი კრება, მთელი მიწა მამული ქართველ მშრომელ ხალხს თანასწორად გაუნაწილო და ნამდვილი ძმობა-ერთობა განამტკიცო.

გაუმარჯოს ნამდვილ ძმობას, ერთობას, თანასწორობას.

გაუმარჯოს შენს კეთილ-გონიერებას.

იყავ ადამიანი და ველურს ნუ ემსგავსები...

იოსებ იმედაშვილი

კონ. მიხ. ამირაჯიბი

დუშ. ფალავანდიშვილი

ქართლის გამხეცებული ბრბო აღარავითარ სიწმინდეს არ ინდობს. მოჰკლეს ხალხისათვის თავდადებული პოლიტიკური დევნილი, რწმენით სოციალდემოკრატი ლევან ციციშვილი, მწერლობაში ლეოს სახელით ცნობილი, და მისი ოჯახი ააფორიაქეს; მოჰკლეს სოფლის ნდობით აღჭურვილი სოფლისთვის მზრუნველი დ. ამილახვარი და მოხუცი ი. ჩიქოვანი. გალახეს კონტანტინე მიხ. ამირაჯიბი, ეს სოფლის განმანათლებელი, გლეხების ნამდვილი მოსიყვარულე და საქართველოს სოფელთათვის სამაგალითო პრაკტიკული მოღვაწე, რომელმაც თვისი ცოდნა, უნარი და სიყვარული სოფელს უძღვნა: გაუღო სკოლა და ნამდვილი კულტურული მუშაობა გაიჩაღა (სოფლმა თვითონ გამოაპარა: არ მოგკლანო); გალახეს თავგამოდებული მამულიშვილი ქართველი ხალხის მოამაგე, რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ერთი მესვეურთაგანი, ჩვენი ქვეყნის. და მწერლობის ნაამაგარი მოღვაწე, დუშიკო ფალავანდიშვილი, მწერლობაში ლეგატუსის სახელ ით ცნობილი

ლექტორი ე.ქ. თაყაიშვილი
არქეოლოგიის ლექციების მკითხველი.

ქართულ უნივერსიტეტში



ლექტორი კორ. კეკელიძე
საეკლესიო ისტორიის ლექციების მკითხველი.

უკანონოდ შობილი

ოქტომბრის პირქუშ ღამის წყვდიადში გლსაზარლად დრიალებდა აღმოსავლეთის ველური ქარი. მის აბობოქრებულ ტალღ ბის ღრიალში ქვეყანა ლამის იქცევაო, ყველაფერი თავქვე ემხობოდა. სახლები, შენობები ირღვეოდნენ, ბან-სახურავები, თითქო ფურცლები, ნავიდან ზე-არეკილნი ჰაერში იბნეოდნენ, ნიავდებოდნენ. გაცრეცილი ხეები მიწას ეკეცებოდნენ, ძირიან-ფესვიან ვარდებოდნენ. არ რჩებოდა არა რა ძლიერ ქარისაგან დაურბეველი. ქარი ხანდახან გიჟური ლტოლვით შეხვევოდა. ჯერ სისინით წავიდოდა მაღლა ფაფარ ახსნილი, შესწვილებდა გველივით, შეჰღრიალებდა მხეცივით და ბოლოს დაშლილა, გააფთრებული გრიალ-ხრიალით ედებოდა გარემოს. მთელი ცის სივრცე სილა-ქვაშით იყო სავსე. ქარი დრო გამოშვებით ჩადგებოდა ხოლმე, მაშინ, თითქო ქვეყანა განთავისუფლდა ამ ბუნების საშინელ სტიქიონისგან, დაწყნარდებოდა, მაგრამ ყურებში ნაცემ ქარისაგან ზუზუნი გაისმოდა.

ქვატაფის მთის ძირში მდინარე რიონი აღმოსავლეთის ქარზე ნაკლებ არ ხმაურობს. და ასეთ ქარის ღრიალში ხომ ერთი ორად ღელავდა და ხმაურობდა. დასახელებულ მთის ძირში, რაჭა-ლეჩხუმში მიმავ ლ გზიდან რიონს ერთ ალაგას ტყეში გზა-ტკეცილი ჩამოუდის. ღამის წყვდიადში, ქარის აურ-ზაურში გზიდან გზატკეცილზე ვიღაც ნაბადში გახვეული გამოჩნდა, რომელსაც ნაბდის შიგნიდან იღლიაშიძონძში შეხვეული საიდუმლო ეჭირა. ფრთხილად და მოკრძალებით დაჰყვა ის გზატკეცილს რიონის ნაპარზედ, დაეშვა გატვრენილი ფეხ- კრეფით მორევისაკენ, მივიდა იქ, სადაც დაქანებული წყალი დორბლის ყრით უერთდება და კლდის ნაპრალზედ, კონცხზედ შემდგარმა გადახედა მოუსვენრად გადაშლილ მქუხ რე მორევს. აქ შეჩერდა უცნაური, ანაზდეულად მიმოავლო თვალი გარშემო—არავინ მიყურებდესო. მერე გაშალა ნაბადი, სხეულის ცახცახით გამოიღო იღლიიდან საიდუმლოება, დაიგორა ხელებზედ და განცვიფრებული დააშტერდა. ძონძიდან საშინელი ჭყივილი მოისმა. ამ საშინელ ხმაზედ ყველაფერი შეჯგუფდა. წყალმა, თითქო დენა შესწყვიტა, დაწყნარდა. ქარი ჩადგა. ტყემ შრიალი შეაჩერა. ხე-მცენარეებზედ დარჩენილნი ფოთლები, დაყვითლულ კინწებით ძალზედ მიეკრნენ შტოებს. ყველა სმენად გარდიქცა. ყველა უცნაურს მიაჩერდა. მაგრამ უცნაურმა ალარ დაიყოვნა. ასწია დახვეული ძონძი, მოიმარჯვა ხელში და ვით ბურთი ანგარიშ მიუცემლად, მორევში გადაუძახა. ძონძიდან ერთი კიდევ დასწივლა, ერთი კიდევ შესწივლა საცოდავად. საიდუმლოებამ და მდინარე რიონს მიეცა. წყლის მორევის ზედაპირი სწრაფად შეირხა, წყალი შუად გაიყო, ვით ვეშაპის პირი, და საიდუმლო ჩაყლაპა. წყლის შენძრევაზედ კვლავ ასტყდა ქარი, აღელდა წყალი, ახმაურდა ტყე, აშრიალდა ფოთლები და ველური ხმით შეერთებულთ დაიგრიალეს, თითქო მსხვერპლს შესძახეს: „მოგიკვდეს დედაო“

ევგენი ფურცხვანიძე.

სიკვდილზე ნათქვამი

მუდამ დღე სიკვდილს მოველი,
დღენი მეთვლება ჭრელადა:
ვერც თხოვნით ვისმეს მივმართავ,
და ვერც ვის საბრძოლველათა:
სული უჩინოდ გაქრება,
ლეში დარჩება ველადა.
მამივლენ ნათესავები
სატირლად-სამგლოვნელათა,
ბევრი გულ-ხრულად მიტირებს,
ბევრიც გულ-საცინელათა.
ტყუილად ატირდებიან,
მომაბრუნებენ ძნელადა.
ბნელ საფლავს მიმაბარებენ,
დ ვ ვ წყდები ყველასა
ისინი წავლენ, გველები
მამივლენ ჩასახვევლათა!..

ვასო აფტიაური.

მიჰქრის გემი!!

ზღვის უბეში ტინი კლდე სჩანს, ზედ დგას ვაჟი ფირალი.
არწივივით ფრთებ ნატკეცი, შორს, სივრცეში მზირალი;
დგას და გემი, გემი ლტოლვის არღვევს ტალღებს, ზვირთებს ზღვას,
და მიჰკავს ბრძოლის სული, ბრძოლის ცეცხლში სჭედავს ხმალს.

ზღვა გამწყრალი, ბობოქარი, ეომება, ებრძვის ცას;
ჩამონქშევას ემუქრება, აგლეჯს ღრუბლებს, არყევს მთას.
და ქარიშხლით ფეხ ადგმული ბორგავს, იძვრის ისე მძლეთ,
რომ სამყარო ქუდმოგლეჯით მორბის, დგება შიშით ტყვედ...

ფიქრთ მწვერვალზე აფრენილ ვაჟს, ზრახვის ქარი უწყვს გულს
და გასცქერის შეზარული, გემს ზვირთებში ჩამარხულს...
თვალი სივრცემ გაიტაცა, სული ზვირთეაზე დარბის.
ეძებს გემის ნაფოტ-ნამტვრევს, შეშლილივით მოთქვამს, სტირს...

და გამოჩნდა... შორს... დასავალს... ზვირთის ჩქერში ანძას ხრის,
აისროლა შავი დროშა, ატორტმანდა, შფოთავს, თრთის...
და მოისმა მწვერვალიდან: „წინ, გაჰკვეთე რისხვა ზღვის,“
გადმოეშვა და დაიძრა, გემი სცურავს, გემი ჰქრის,
და გაშლილი ასი აფრა დანავარდობს, ყველა ჰრბის.

გ. დათიაშვილი.

ყოველივე ვქმენ.

სომხურიდან (გრ. გრიგორიანისა)

ჩემის ცრემლებიდან კოშკი ავაშენე: ტკბილ ხმოვან ლამაზ ჰანგებით შევამკე იგი, რომ შენ იცხოვრო მხიარულათ და ბედიერად.

ცას წავართვი ახალი მთვარე და მის რკალში ბჟყვრიალა მზის სხივები გავაბი სიმად, ვამ. ერ ემე დღე და ღამე, რომ შენ აღტაცებულიყავი და მშვიდათ ჩაგძინებოდა.

ნაზ ვარდებიდან, ლამაზ ბულბულის ნამცრემლებიდან კონა შევკარი და, ჩემო სიცოცხლის ფერიავ, შენ შეგთავაზე, რომ შენი აღელვებული მკერდი დაგემშვენებინა.

ჩემს ლოცვებიდან ტაძარი აღვმართე, სურნელოვან კოცნით გავალამაზე მე იგი და შენი სურათი დავასვენე მე იქა, რო იმის წინ მუხლ-მოყრილმა შენ გაღმერთო და ჩემი ოცნება შენ სურათის წინ აღვანთო, ავაკმევო.

დღე და ღამე ცას შევთხოვდი, რომ შენი ძვირფასი ქვებივით აღსმული სიცოცხლე გაგრძელდეს.

წმინდა და სუფთა ნაკადულის წყნარ ჩუხჩუხიდან მოვქარგე ზღაპარი. მწვანე ტყის დინჯ შრიალს წავართვი შენთვის მისი დუმილი, ლამაზი ამაყი და წარმტაცი, რო შენ გაგართო.

მშვენიერ დღის მაცხოვარი სინათლიდან მოვქარგე გვირგვინი შენის ოქროს თმიანი თავის შესამკობად.

ყოველივე ვქმენ, მაგრამ შენ ვერ გიპოვნე, არსად იყავი, ვერსადა ყნახე. სიდამონი.

ლაურა. (თ. ქ-ს ალბომში)

ტურფა ლაურა! იფერიის მნათო ვარსკვლავო,
მარჯნის ბაგეთ ქვეშ ჩუმ დიმილში ტრფობის მმადავო

ეს გული შენი, მშვენიერო, ვრის სასთუმლო,—
სად სიყვარული გიბადიშებს ნაზი, ტიური;
აქა ყლერს შენდა სანეტარო, სმა საიდუმლო—
მოდი მოაურდნე სახე შენი ბროლი, მზიური.

ჩემო ლაურა! სიტოცხლეო, შვების რვეულო,
დამაზ სამშობლოს საუნჯეო, სულო რჩეულო!..

ს. ერთაწმინდელი



ქარლო ჩხეიძე
ამიერ კავკასიის სეიმის თავჯდომარედ არჩეული.
სეიმმა მუშაობა დაიწყო თებერვლის 10



ია ეკალაძე
სახალხო სახლში წარმოდგენილ პიესის ,,ნომერი ოცდა ერთი ჯვრით''-ის ავტორი.

მზის სიცილი

ზამთრის სუსხით გადამჭკნარსა ვარდს ფოთლები ჩამოსცლოდა,
დ ასიბნელე ამ ქვეყანას მძიმე ტვირთად დასწოლოდა!.
თავის ფერი, სურნელება, დაჰკარგოდა, გადასცლოდა!..
მზე დიადი არსად სჩანდა, ცას ღრუბლები გადაჰკროდა!
და ვიდოდენ დღენი მწარედ, და ვიდოდენ დღენა შ ვად,
ვინ იცოდა, თუ მზე ამ დროს ილტვოდა ჩვენს სანახავად?.
..და გამოჩნდა, ცის გუმბათზე, გაიღიმა, გაიცინა:
უხაროდა,— მან ქვეყანას რომ სიკვდილი ააცდინა.
მან თვის სხვ ი ბნელ სამყაროს გ უყარა მკვეთრ მახვილად,
და ქვეყანას, ბნელით მოცულს, დაეფრქვია ,, ზის სიცილად''.
და ბ ღნარნი გამოსცოცხლდნენ დაუბრუნდა ყვავილთ ფერი;
მზემ დაჰკოცნა მ თი სახე, მზემ დ ჰკოცნა მათი ღერი.
მზე ცინის: ჰხაროობს ყველა, ეს ქვეყანა გახდა ტკბილი,
მაგრამ ღმერ თო! ჩემს სამშობლოს როდის ნახ ვს მზის ს ცილი?

თამარა გოგუაძისა

ვ. შალიკაშვილი

მოქალაქის სიზმარი

შარჟი 1 მოქმედ.

მომძღვედნი:

გიგო

მაგდანა—ამისი ცოლი.

ანგელოზი.

[ღარიბული ოთახი. ღამეა. სანთლის ნამწვი ანთია].

გიგო. (შეშოდის დაქანტული) მაგდან!.. მაგდან!.. დაყრუვდი, ადამიანო!.. ერთი გამოდი, მიშველე!.. მაგდან!..

მაგდ (შეშოდის) რა იყო, ქა? რატომ ეგრე ქანცგალეული ყვირი?

გიგო მაგდანჯან, მიშველე!.. გული მიმდის... ჰარაქათი ალარა მაქვს!..

მაგ (აბრუნებს) ვუი, რა მოგივიდა გენაცვალე? წამოწექ, დაისვენე!.. კარგია მოხვედი.

გიგო მოვედი, მაგდანჯან!.. მომალოცე, მოვედი... შენ როდის ღა მოხვედი?

მაგ ეს არის ეხლა დავბრუნდი.

გიგო იშოვნე რამე?

მაგდ ვერა გიგოჯან! დილის ოთხ საათიდან ოჩერედში ვდგევარ და ეხლა გამოგვიცხადეს—რკინის გზის მოძრაობა შეჩერებულია, ბაქოდან ნავთი ალარ მოდის და წამოვედით ხელ-ცარიელნი.

გიგო რკინის გზას რალა ღმერთი გაუწყრა ადამიანო?

მაგ. რა ვიცი, ბოლშევიკებიაო ამობენ.

გიგო ჰაი, ბოლშევიკები მაგ თ და შავი ჭირი... მაშ დღესაც სიბნელეში უნდა ვისხდეთ?

მაგ. რა ვქნათ, გიგოჯან? დრომ მოიტანა!

გიგო სერგოა ბიჭი სად არის?

მაგ. კარტოფილის ოჩერედშია.

გიგო ვანუა?

მაგ. ხორცის ოჩერედშია.

გიგო სოფო?

მაგ. შაქრის ოჩერედშია.

გიგო კატინა სადღაა?

მაგ. გლეხებს ლობიო ჩამოუტანიათ, იმის ოჩერედში გავგზავნე.

გიგო მიხა?

მაგ. ყველის ოჩერედში ჩავაყენეს

გიგო მაშ სახლში ალარავინ არის?

მაგ. მე ვარ, რალა! (მორიდებით) შენ რა ჰქენ, ქა? პური მოიტანე?

გიგო პური-რა, მეფურნე ვარ?

მაგ. მაშ რა ვქაათ ქა?

გიგო რაც აქამდის გიქნია!

მაგ. ალენი ხანია ოჩერედში დგეხარ და ერთი გირვანქა პურიც ვერ იშოვნე?

გიგო რაებს ლაპარაკობ, ღედაკაცო, აბა რამდენი ხანია? გუშინ განთიადისას არ წავედი, ეხლა დავბრუნდი რალა! შენ პურის ოჩერედს ეგრე ეხუმრები? ხალხი თითო კვირა დგანან... აი ეხლა უნდა დავიძინო და გათენებისას კიდევ უნდა წავიდე.

მაგ ვუიმე, მე კი სუფრა გავშალე თებშები დავდგი,

გიგო თეფშები ხომ დადგი?

მაგ. მაშ!.. აგერ!

გიგო მაშ დაჯექ და ლოკე...

მაგ. ვუი რალა ვქნათ. კიდევ მშივრები როგორ დავიძინოთ?!

გიგო კარგია, მომშორდი. უნდა დავიძინო. ალრე ასადგომი ვარ. წავიდე დროზე, ჩემი ოჩერედი არ დავკარგო.

მაგ. თვალები დამიდგეს, ქუჩაში გაიყინებიან ის საცოდავები. ნეტავი კი რამე იშოვნონ და.(მიდის)

გიგო მაგდან ჯან, მიდიხარ?

მაგ. ჰო, იქნება მეც დამეძინოს. მეც უნდა დილა ადრიან წავიდე ოჩერედში.

გიგო მაშ გამომეთხოვე მაგდანჯან! ვინ იცის, როდის ვნახავთ კიდევ ერთმანეთს.(ჩუმწიან ერთმანეთს. მაგდანი გადის)

მაგ. სანთელი ჩააქრე, იქნება ხვალაც გვე ეყოს.

გიგო ეს ორი დღე ხომ მოვისაქმე. ცოტა დავიძინო, რომ ხვალაც შევუდგე ჩემი მოვალეობის ასრულებას. ძილი?! ვა, მშიერი მუცლით ძილი გაგონილა? აჰ, ერთი სიზმარში მაინც ვნახო საჭმელი!! ამ ოხერ სიზმარსაც ხომ ოჩერედში დგომა არ უნდა?! (სანთელს აქრობს. სცენა ბნელდება. წყობა) ერთი კარგი გაშ-

ლილი სუფრა კი ვნახო სიზმარში და ვინ პირშავი სამი დღე ოჩერედში არ ჩავდგებაო. ძეინებს ებოდებს. პური... შაქარი... ინდაური... გოჭი, გოჭი... ზურგიელი... ყველი და სხვა შემოტურდება ანგელოზი, თავზე დაადგება რამდენჯერმე ხელს გაიქნევს.

ანგ. აღსდექ!..

გიგო გოჭი. გოჭი. ქათამი. ზურგიელი!.

ანგ. აღზდექ!

გიგო ნავთი... ნავთი... ნავთი...

ანგ. აბზდექ!

გიგო წამოიწვრება თვალებს იფშვნეტს მისჩერებია ჰეი, შენ ვინა ხარ?

ანგ. მე ვარ!

გიგო ვა, უნათლავი ხარ? სახელი არა გაქვს? გვარი?

ანგ. სტუმარი ვარ!

გიგო ეჰ, დალოცვილო, რა დროს სტუმრობაა, ხალხი შიმში ით ვოოცებით! აგიღია თავი და მოდიხარ, პური მოგიტანია.

მე პური არ მინდა!

გიგო შენ არ გინდა — ახლა მეცა მკითგე!

ანგ. აქ რათა ბნელა.

გიგო ნავთი არ არის და ბნელა.

ანგ. რა არ არის?

გიგო ნავთი, ნავთი!

ანგ. მერე რატომ არ არის?

გიგო აი, ჰკითხე ბოლშევიკებს!

ანგ მაშ ჩემმა მეუფემ რათ გააჩინა დღე თუ მზე არ გაანათებს?

გიგო დღე იმიტომ არის გაჩენილი, რომ ოჩერედში ვიდგეთ.

ანგ. ღამე?

გიგო ღამე-კი იმისთვის არის, რომ ქუჩაში დაგვიხვღონენ და პალტოები გაგვხადონ.

ანგ ჰო უბედურო ადამიანო! პირველყოფილ შენის ქერქიდან კიდევ ვერ გამოსულ ხარ!

გიგო შენ, ჰეი, რატომ ეგრე პრტყელ-პრტყელებს ლაპარაკობ? ეხლა აღარ მეოყვი ვინა ხარ? ბბა, შენი პრადავოლსტვინი კარტი ჩკა მაჩვენე,

ანგ. მე იგი არა მაქვს!

გიგო მაშ ოჩერედში როგორა დგეხარ?

ანგ. მე არსად არი ვდგევარ,

გიგო სჩანს კომიტეტში მსახურებ.

ანგ. რა არის ოჩერედი?

გიგო მაშ რა იცი, თუ ეგეც არა!.. აი, მაგალითად წინ მე ვდგევარ, ჩემს უკან შენ, შენს უკან სხვა, იმის უკან კიდევ სხვა და ასე.

ანგ. ჰოი, ფლიდო კაცობრიობავ, სულ ეგრე კუდში უნდა მისდიო ერთი მეორეს...

გიგო განა თქვენში ეგეთი კუდები არ არის?

ანგ. ჩემის მეუფის საბრძანელოში მხოლოდ ცოდვილნი, დგანან რიგში და ელიან მსჯავრსა. წმინდანნი კი არა დგანან.

გიგო ჩვენცა გვყანაი წმინდანები-მილიციონერები

ანგ ჰოი ნეტარებავ! მივალ, ვაუწყებ ჩემს მეუფეს, რომ ცოდვილ დედამიწაზე კიდევ მოიპ ებიან წმინდანე ი და ვსთხოვ ჩქარა გაიწვიოს ისინი თავისთან.

გიგო დედიკაცო, რას მიედმოედები? სად უნდა გიწვიონ? მობილიზაცია იმათ არ ეხება.

ანგ. ვმადლობ ჩემს — სჩანს კიდევ შეიძლება დედამიწაზე დავამყარო სიმშვიდე და ბედნიერება.

გიგო ვაი, ერთი ბალშევიკი მყავდეს აქა შენ გ ჩვენებდა როგორია სიმშვიდე!

ანგ. მე მოვალ აქა.

გიგო რო მოხვალ, ახლა აღარ ეტყვი ვინა ხარ?

ანგ. მე ვარ ცით მოფრენილი ანგელოზი!

გიგო წმინდაო ღმერთო! მერე აქ რა გინდა? რათ გამოიქეცი ზეციდან? იქაც ხომ შნმშილობა არ არის,.. იქაც ხომ ბოლშევიკები არ გამოსულან? (შეშინებული ჩაჯდება) ვაი. ღმერთო შემნწყალე... წმ. გიორგი!

ანგ. ნუ გეშინიან! მე შენ წასაყვანად არ მოვსულვარ.

გიგო ანგელოსჯან! თანახმა ვარ, თუ იქ ოჩერედი არ არის თან წამიყვანე.

ანგ. თუ წაგიყვანე-უკან ვეღარ დაბუუნდები.

გიგო არა ქაჯ ნ, თანახმა არა ვარ. წამოვალ, იქ რამეებს ვიყიდი და ისევ დავბრუნდები.

ანგ. ეგ არ შეიძლება! შენი წამოსვლა საჭირო არ არის. მე აქ მოგიტანე ბედნიერება. აჰა, ეს თვალი. დაიჭი ხელში და რაც მოგესურვოს—გამოუძახე, ყველაფერი გაჩნდება.

გიგო როგორ უნდა გამოუძახო?

ანგ. სიმღერით!

გიგო მერე როგორ ჰანგზე უნდა ვიმღერო?

ანგ. როგორიც იცი, სულ ერთია!

გიგო ვაა, ანგელოსჯან, გენაცვალე თეთრ კაბაში, შენა ხარ ჩვენი მხსნელი, ჩვენი მაცოცხლებელი. (მუსლებზე დავარდება, თაყვანსა სცემს)

ანგ. იყავ წმინდა!

გიგო ბაშუსტა! ხვალვე აბანოში წავალ! პირ ძაღლი ვიყო თუ თავის ღლეში შევიგინო!

ანგ. იყავ მშვიდობით! (ჰქრება)

გიგო გამარჯვებით ანგელოსჯან! ხეირი ნახე! ვაა, ეს რა მეხი დამეცა კაცო! ოჩერედში დგომა აღარ დამჭირდ ბა. ვაჭრებს ლოკმაში თუმანს არ მივცემ. ვაჭრებო, უ თქვენი რჯული! ეხლა კი ამოვიყრი თქვენ ჯავრს! არაფერს არ ვიყიდი! ვაა, რა უნდა ვიყიდო? აკი სთქვა, რაც დაგჭირდეს გამოუძახე და ყველაფერი მოვაო, ჩემი შვილები ოჩერედიდან დავიბარო. ერთი მაგდანა გავალვიძო! მაგრამ არა, ჯერ ყველაფერ საჭმლებს გამოუძახებ, სუფრას გავშლი და მერე დავუძახებ მაგდანს. ვაა, როგორ გადაირევა! აბა, თვალოჯან, გენაცვალე თვალში, ჯერ რას გამოუძახოთ? ჯერ პური. თეთრი პური! (თვალს ასწევს და მდერის) ოჰ, პურო, პურო, შენ თეთრო პურო! სად მიიმალე, ვის კუჭებში ხარ? ერთი გამოჩნდი მსურს რომ ვიყურო! (გამოჩნდება პური) ვაა, გენაცვალე თეთრო პურო! რამდენი ხანია არ მინახავიხარ! შემოგევლე თეთრ ყირმიზ ლი ყებში! შენი თეთრი გვერდების ჭირიმე! აქ დაბრძანდი, გენაცვალ! მდერის ჭურგიელო, თართის დოშო, ხიზილალა, ძეგელოვია შენი პატრონი, შენი ლალა! მოდი ერთი მომეჩვენე ჩემ თვალთაგან რამ დაგმალა? გამოჩნდება დოში. ვაა, ეს რა პურის ოჩერედივ თ გაგრძელებულა, მაგიდაზ დასდებს. შაქარო, შაქარო, ნეტავ ეხლა სად ხარო? აბა ერთი ჩამობრძანდი, მსურს ჩაიში ჩაგყარო! გამოჩნდება შაქარი. ოო, ჩემო იალბუზის მთავ! აქ დაბრძანდი. თქვენ სადღა დამალულხართ, ინდაურო, გოჭო? აბა ერთი ჩამობრძანდით, მინდა, რომ შეგბოჭო!. ჩამოუშვება გოჭი და ინდაური. ვა, ვა, ვა! ქორწილი, ქორწილი! აწყობს. მგონი ყველაფერია! ვაა, ღვინო? ჩემი ანგელოსის სადღეგძელო არ უნდა დავლიო?

ვახ, ღვინო, ღვინოვ, ვარ შენი მსემლი, გინდ თეთრი იყავ, გინდა წითელი! ჩამოუშვება ხელადა. მობრძანდი ჩვენო სუფრის ლაზათო! ჩვენო ნექტარო! ქართველების ჭკუის ამრევო, ჯიბის გამთხელებელო! დასდგამს. ეხლა კი ჩემ მაგდას დაუძახებ. აბა როგორ გადაირევა ამ სუფრას რომ დაინახავს! ოოჰ, როგორ გავძღები, რამდენსა ვჭამ, რამდენს დავლევ! ხვალ ჩაისაც ნაკლადკ თ მივირთმევ! მაგდანჯან! მაგდან! ერთი აქ გამოდი, რა გაჩვენო! მე დავწვები ვითომ ავათა ვარ, დე, თითონ დაინახოს. მაგდან, მოდი ვკვდები. მიშველე!

მაგ. რა იყო, გენაცვალოს შენი მაგდან!

გიგო მაგდანჯან, შიმშილით ვკვდები. სი კვდილის დროს ერთი წყალი მაინც დამალე ვინე

მაგ. გიგოჯან, დაკეტილია. დილამდე არ გამოუშვებენ.

გიგო მოდი, ნახე, იქნებ სადმე ნარეცხი ჩადგა.

მაგ. მაგიდასთან მიჯა და დაიკიჟდებს. ვუი!

გიგო წამოჯდება და სულელურად იცინის.

მაგ. ეს რა არის ქა? სიზმარია თუ ცხადი?

გიგო ცხადია, მაგდანჯან, ცხადი!

მაგ. მერე საიდგან გიგოჯან?

გიგო სსსუ! კრინტი არ დასძრა, თორემ ყველაფერი გაჰქრება! აბა, დაჯექ მაგდან, შეექეცი!

მაგ. ვუი, ქა! ეს რა ბედი გვწევია? შემოუსხდებიან

გიგო ჯერ რა ვჭამოთ, მაგდან?

მაგ. გოჭი, ინდაური, თევზი, ყველაფერი.

გიგო არა, ჯერ იმ ანგელოსის სადღეგძელო დავლიოთ. ჭიქას აიღებს და უნდა ხელადაც აიღოს. ხელადა მაღდა მიდის.

მაგ. შეშინებული. გიგოჯან, ეს რა ამბავია?

გიგო არაფერია, ანგელოზი გვეხუმრება!. სჩანს ჯერ მისი სადღეგრძელო ადრეა. ჯერ ვეპამოთ გოკი. წაიწევს ასადგებათ გოკში მადდა აიწევს მაგდანა კოვის.

გიგო გოკი არ შეიძლება. ინდაური უნდა ვეპამოთ გიგო სულელურად იცინის ეე, ჩვენ შეეცდით, ჯერ უნდა თევზი გვეპამა. დოში ადის

მაგ. ქა, იქნება პური რომ არ გაგვიპრია ეგ იმიტომ არი?

გიგო აი. ჭკვა! აიღე დანა! პური ადის თან მაქარიტ ჭეკვება ჭაერში გამოკიდულია ეველაფეერი ორიგენი ეპოტინებიან, მაგრამ ვერა წვდებიან. თან იძახიან: ინდაურო, გოკო და სხვა. სანოვაგე ხან მადდა ავა ხან დაეშვება.
მაგდანჯან, უმღერე თორემ მიდიან.

მაგ. რა ვუმღეროთ?

გიგო სულ ერთია რაც იცი. ორიგენი მდრიან. სანოვაგე თან დდ თან მადდა იწევს, ბოლოს სულ მიიმალება სიმღერა ტირიდზედ გადადის ორიგენი სხვა და სხვა კუთხეში სხდებიან და მოსთქვამენ: ინდაურო, გოკო, პურო და სხვა.

პარტერიდან ვასო, ვასო!

ვასო ვინ მეძახის? რა გინდა?

პარტ. რა გატირებს, ვასოჯან? ეს ხოსიზმარი იყო?

ვასო სიზმარი? მაშ ამალამ თქვენც ამ სიზრეით დაკმაყოფილდით და ხვალ დილით კი ოჩერედში წაბრძანდით.

ფარდა.

ვალ. შალიკაშვილი

ქართულ ენ ა

მოსმენილი ივ. ჯავახიშვლის

ჩვენი წინაპართა ბუნება ორ მთავარ გარემოების ზედგავლენას განიცდიდა: ხილულ მსოფლიოს და ზესთა მსოფლიო ძალთა აუცილებლობისას. ისინი ხედვიდენ რეალურ სინამდვილეს და გრძნობდნენ ზესთა მსოფლიოს არსებობას ანუ სულიერ ცხოვრების შესაძლებლობას ამ ორი შეხედულებიდან და მის ზედ გავლენიდან ჩამოყალიბდა ძველ ქართველთა პიროვნებანი და მათი ურთიერთ ძალთა განწყობილებანი. პირველად სულიერი ცხოვრების რწმენა იმდენად ძლიერი იყო ძველ საქართველოში, რო ეკონომ. ნიადაგზე მოღვაწეობა იჩრდილებოდა სასულიერო მოღვაწეობით. ამიტომ სამონასტრო მოძრაობა, რომელიც გადმოინერგა ჩვენში აღმოსავლეთის აამონასტრო მოძრაობიდან, განიცდიდა ეკონომიურ სისუსტეს. ასეთსავე ეკონომიურ უძლურობას განიცდიდა მთელი ერის სიმდიდრეც. ერის შვილნიც, როგორც სასულიერო ძმები, ნეტარებას სულიერ ცხოვრებაში უფრო ეძებდენ, მინამ რეალურ სინამდვილეში: იმდენათ ძლიერი იყო ამგვარი მიდრეკილება, რომ სამონასტრო მოძმეთ ხილის ბაღს და ვენახებსაც-კი დაუწყეს ჩეხა: მათი აზრით სულიერი ცხოვრებისთვის ისინი საჭიროებას არ წარმოადგენდენ. ასეთმა მოვლენამ სომხებში უკმაყოფილებაც-კი დაბადა, მაგრამ როდესაც მონასტრებს დაეპატრონენ საერო პიროვნებანი ძლიერნი ნებისყოფით და საკუთარი ქონებით ეზრუნველ ყოფილნი, სამონასტრო ეკონომიურ ცხოვრებასაც ჩაეყარა საძირკველი. რაც დრო გადიოდა იგი ვითარდებოდა, მასთან ერთით ვითარდებოდა ის შემეცნება, რომ ეკონომიური ნიადაგზედ მზრუნველობა არ შეუშლიდა ხელს სულიერ ცხოვრების მზრუნველობას. ასეთმა შეხედულობამ უფრო მეტათ შეუწყო ხელი ერის ეკონომიურ აღორძინებას და მონასტრებში დიდ ძალმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. ერის კაცნი მას მრავალ ქონებას და სამკაულებს სწირამდენ და სულიერნი მამანი ამ სიმდიდრეს აყვაებდენ და განაყოფიერებდენ. საქართველოს ეკონომიურ აყვავე ის ხანად დავით აღმაშენებლის ხანა ითვლება. იგი ქართველ მაკედონელად უნდა ჩაითვალოს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ კირობეს, რა დროსაც მას მოუხდა მოღვაწეობა

ძველ საქართველოს მცხოვრებნი იყოფოდენ წოწოდებებად და უფლებრივ ხარისხებათ: იყვნენ აზნაურნი, რომელიც ნიშნამდა თავისუფლებას, იყვნენ უაზნონი არა თავისუფალნი და მართველნი. მაშინდელ მდგომარეობის მიხედვით ყველი საჭიროობდა ბატონს ანუ პატრონს. მმართველნი პატრონობდენ ერს და სამშობლოს მთლიანობას, აზნაურნი უაზროთ და ამგვარათ ყოველს ჯგუფს ყავდა თავის ინტერესის დამცველი წოდებათა ხარისხი იცვლებოდა. მაშინ თუ მოხდებოდა აღზევება-აღმატება ან დადაბლები ჩამოყენება რაიმე მიზეზის გამო. აზნაურობის ხარისხი წარმოსდგებოდა სამი მიმდინარეობიდან, რომლის დასაწყისათ ითვლებოდა ჩამოშავლობა ან პირადი ღირსების გამოჩენა ან დამსახურება. რაინდობის აღსანიშნავად სწარმოებდა ხელდასხმა-კურთხევა მსგავსათ ევროპიელების ასეთსავე ჩვეულებასა, რომლის აღსრულების დროს აზნაურს გადასცემდენ იარაღს დიდი ზეიმით. ძველ ქართველთა პიროვნებანი ასაკობას ახწევენ ცამეტი წლისანი დედათა ქესნი, თექვსმეტი წლისანი მამათა სქესნი, მეტი ხნოვანების იწოდებოდენ სრულნი ღვეთა ბრძოლათათვის. იმ დროის ქართველთა მოღვაწეობა აღინიშნება სიტყვიერების განვითარებაში, რომლის დაგვირგვინებაში

ვერს ტ ტ ში

ლექციიდან (მოკლედ)

დიდი ღვაწლი მიუძღვის გიორგი მთაწმინდელს, ჰეტრიწს. მისი ძველი ქართული ღრმა აზროვნების ნაყოფია, რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო, თუ ერის შემოქმედება ამ მხრივ უაღრესათ არ იყო განვითარებული.

—

ისტორიის მკვლევარი პირველ ყოვლის უნდა გაეცნოს იმ წყაროს, რომელზედაც არის დამყარებული ისტორიის ფილოსოფია. ქართული ისტორიის შესასწავლად საჭიროა გავეცნოთ იმ ძეგლებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ბაბილონ ასურეთისა და რომაელების უძველეს ისტორიასთან. იმ დროს, როდესაც ჯერ-კიდევ ლურსმული ასოები სწარმოებდა ასურელნი ასეთი წარწერით ქვაზედ აღნიშნავდენ თავიანთ მეფეების მოღვაწეობას და ამ ძეგლებს სდებდენ შენობის საძირკველში. როდესაც არქეოლოგები გაეცვნენ ამ ისტორიულ ძეგლებს, აღმოჩნდა რომ ჩვენ წინაპართ ბევრჯერ ქონიათ ბრძოლა ასურელებთან და ამ ბრძოლაში გამარჯვებულნი ასურელნი გამოსულან; შეიძლება ბრძოლაში ასურელნი ბევრჯელ კიდეც მარცხდებოდენ მაგრამ ასეთ სამარცხვინო ომს ცხადია, ისინი არ აღნიშნავდენ. ამიტომ ასურელთა ბატონობის დროს ჩვენი ისტორია დაცემის ხანით აღინიშნება. აი ცნობები რომელიც ასურელთა ისტორიული წყაროებიდან მოგვეპოვება. უფრო მეტი ცნობები მოიპოვება ბერძენთა ისტორიულ ძეგლებში ვინაიდგან მათი გამოკვლევა ასურეთან შედარებით მეტი ჰუმანიურია.

უკანასკნელმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ჰეროდოტეს, რომელსაც სწამდა უზენაესი ღვთაება და მისი გავლენა ადამიანის ბედზედ, აღნიშნა მოკლე ცნობა ქართველთა მოსახლეობისა. იმ დროს ბერძნები წარმართნი იყენენ, მათი აზრით სხვა ტომები ბარბაროსებათ იყვნენ აღიარებულნი და მათ წინააღმდეგ ბრძოლას ბუნებრივ მოვლენად აღიარებდენ. ამიტომ ბერძენთა მოაზროვნენი სხვა ტომთა ცხოვრებით იმდენად არ იყვნენ დაინტერესებულნი.

ჰეროდოტეს შემდეგ ფუკიდიტე გამოვიდა ბერძენთა ისტორიკოსად, რომლის მსოფლმხედველობა განსხვავდებოდა მის წინაპართა მსოფლ მხედველობისგან. მისი აზრით ყოველი მოვლენა საზოგადო ცხოვრებაში არის დამოკიდებული თვით ადამიანზე, ხოლო ბედი კაცობრიობისა ადამიანთა ბუნებაზე, მას არ სწამდა ღვთაება და ცრუ მორწმუნოება. მაგრამ ისიც იმავე შეხედულობის იყო წარმართებზე, როგორც მისი წინაპარი. ეს ვიწრო შეხედულება დაარღვია ქსენეფონტემ, რომელმაც აღნიშნა ქართველთ მოსახლეობა შავი ზღვის პირას. ქსენეფონტეს შემდეგ ბერძენთა ისტორიაში ჩვენ გვხვდება პოლიბიუსი, რომლის მსოფლმხედველობით ადამიანის ბუნებაზე გავლენას ახდენდა, როგორც ფიზიკური ბუნება, ისრე სახელმწიფოს ფორმა და მისი წესწყობილება. რადგან იმ დროს კაცობრიობის უდიდესი ნაწილი რომაელებს ეპყრათ, პოლიბიუსი დაინტერესდა გაეგო, მიზეზი რომაელთ ასეთი გაძლიერებისა. მან მოინდომა ეს გამოკვლევა შთამომავლობისთვის დაეტოვებინა. ასეთი მისი მიდრეკილება მეცნიერულ თვალსაზრის წარმოადგენდა. ამგვარად ბერძენთა ისტორიკოსნი დაადგნენ მეცნიერულ კვლევა ძიების სწორ-უტყუარ გზას. დროთა განმავლობაში ბერძნები წარმართთა მიმდინარეობას შეეწყვენ, რომელსაც შემდეგში ხელი შეუწყო ქრისტიანულ სარწმუნოების განვითარებამ და ებრაელთა ერთღმერთიანობის სარწმუნოების გაცნობამ. ბერძნ ბი დაინტერესდენ გავგოთ: რომელ შთამომავლობას ეკუთნოდენ ისინი. მაგრამ მამამთავრის კვლევა ძიების ჟინი ჩქარა დაეცა და მისი ალაგი დაიჭირა ქრისტიანულ სარწმუნოების ჟინით შეპყრობამ. ქრისტიანული სარწმუნოება განვითარების პირველ დასაწყისს მსოფლიოს პირდებოდა დიდ ცვლილებას. ყველა მოელოდდა არა ჩვეულებრივ მოვლენას, ეგრედ წოდებულ მეორედ მოსვლას. ამიტომ ძველ საბერძნეთში თავი მიანებეს ისტორიულ ცნობათა აღნიშვნას და ქრისტ. წრეებში ღრმა სარწმუნოებივი რწმენით განისჭვალნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში დარწმუნდენ ასეთ შეხედულების სიყალბეში, რის შემდეგ ბიზანტიელთა ნაწარმოებში თან და თან თავი იჩინა მრავალ ცნობებმა სხვა ერთა შესახებ.

როგორც ვსთქვით, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ელინელთა აზროვნებაში დიდი ცვლილება მოახდინა, რომელიც დაედო საფუძველად მსოფლიოს ისტორიას და მის განვითარების წყაროს. რაც ამ წყაროებში არ არის აღნიშნული მას მეცნიერება იკვლევს არქეოლოგიური ნაშთებიდან, ზეპირ გადმოცემებიდან, სიმღერა გალობიდან, რომელიც წინათ თამაშთან ერთად განუყოფელი იყო და სხ. ენათ მეცნიერების შესწავლაც თვალ საჩინო ალაგს იჭერს საისტორიო ფილოსოფიისთვის. იმ საგვარეულო წესწყობილებას, რომელიც დაედო საფუძველათ ძველ საქართველოს, ჩვენ ვიგებთ მამასახლისის ანუ სამამასახლისო სიტყვიდან. აი მნიშვნელობა ენათმეცნიერეაისა, მაგრამ თუ ასეთია მისი ერთის მხრივ ღირსება, მეორეს ნხრივ მას აქვს დიდი ნაკლი. ამ ნაკლს ქართული ენაც განიცდის. ეს არის ენათა აღრევა სხვა მონათესავე ენებში, რომელიც უშლის მკლევარს ამა თუ იმ ერის ისტორია სისწორით შეისწავლოს. მაგრამ მაინც ძველი ქართული საეკლესიო ისტორია სათანადო ალაგს იჭერს საარქეოლოგო მეცნიერებაში. რაც შეეხება თქმულებას, ისიც ვერ ექვემდებარება დადებით —მეცნიერულ თვალსაზრისს, ვინაიდან ადამიანის ბუნება თანდაყოლილი შემოქმედია. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ ჩვენი ერის ცხოვრებაში. ჩვენი ერის ერთი თქმულებით, ამირანი ქრისტეს ნათლულია. ამ თქმულების სიყალბე ცხადია ვინაიდან ამირანის ლეგენდა უფრო ძველი დროინდელია. მაშასადამე ქრისტეს ნათლული არ შეიძლება ყოფილიყო, როგორც ვხედავთ, ისტორიულ წყაროებს მრავალი ნაკლი აქვს, რომელსაც მკვლევარი ადვილათ შეუძლიან შეიყვანოს შეცდომაში, ისინი წარმოადგენენ ფუტყვ საბუთებს, ამიტომ მეცნიერები ეშირათ ერთი

მეორის საწინააღმდეგო დასკვნებს აკეთებენ, ასეთ სიძნელის შესამსუქებლათ განვითარდა არქეოლოგიური დადარგი მეცნიერეშისა, რომელიც იკვლევს სიძველეთა. ნაშთებს. ენათ:მეცნიერება და სარწმუნოების მეცნიერება ჩვენშა ეს დარგები ჯერ ჯეროვნით არ არის განვითარებული და როდესაც ეს ერი განვითარდებიან მაშინ შემუშავდება ქართველთა მსოფლ მხედველობა და მათი შემოქმედება რომელიც დადება საფ ძველათ ჩვენი, და ისტორიის საფუძვლიანათ შესწავლას.

მუშა მიხ. დევაძე

შ ა რ ა დ ა

ვაჟკაცთ თავმოსაწონარი
თავისა სამკაულია,
კაცს პატი სანს ამბობენ,
უმისოდ არ გაუვლია;
შუა გასჭერით, პირველი
მომეცით უკლებელადა,
ძვირფას შარადის აგება
რომ არ გაგიხდეს ძნელადა.
რაზედაც ხურავს მიაევე
წინა ანბანი ორია,
გთხოვთ მომეცეთ თქვენაც დაგრჩებათ
ანბანი თანასწორია.
აწ მომიძებნეთ ბნელისა
გამფანტ- მანათობელი,
ღვთის შესაწირი და მკვ რისაც
სულისა მავედრებელი.
შვიდ ანბანისგან შესდგება;
წინიდან სამი მეეც სხვას,
დანარჩენი კი სუყველა
გამოადგება შარადას.
შემდეგ მიხსენეთ სახელი
მეფის თავდადებულისა,
თვის ხალხის გამზიარებლის
მწუხარების და წყლულისა;
წინიდან ორი ანბანი
ამისი თქვენთვის დადევით,
შემდეგი სამი ანბანი
ჩემთვისინ შეინახეთ.
ორიც დაგრჩებათ ანბანი
გაუზიარე ვისაც გსურს,
რადგანაც შარადისათვის
ველარ შესძლებენ სამსახურს.
ლექტორი არის ქართველი,
ძვირფასი ორატორია,
მის გვარსაც ვთხოვოთ ანბანი
წინიდან მხოლოდ ორია.
განჯა ხომ იცით? დაფიქრდით
კიდევ აქვს სხვა სახელია,
ბოლოის ორ მის მარცვალსა
მაჩუქებთ უეჭველია.
შემდეგ ოხის ტყავის მიხვედრა
არ გაგიხდებათ ძნელადა,
სახმარებელად კარგია,
ღვინო - წყლის ჩასასხმელადა;
მიხვდებით, სახელი არის
ოთხ ანბან - ორ მარცვლოვანი,
წინიდან ორი ანბანი
მომეცით, ვარ მის მოხოვნელი.
ქართველის ეკლესია
ქალაქში ძველია ძველია,
გვეჭ რდება რომ გავ ხ ენით
სუყველამ მის ს ხელია;
სამ მარცვლისაგან შესდგება
და პირველს წილად თუ მარგებთ
შარადის ძვირფას სახელსა
ცოტაოდენად ავაკებთ.
ფრინველი არის, რიტრაეზე
ჯერ ის აღვიძებს სოფელსა,
სურს სევდა რო მოაშოროს
მეხ ეს ვარამში მყოფელსა;
სამი მარცვლისგან შესდგება,
პირველს თუ მომეცემთ ნებითა,
თქვენს გულუხვობის ამბ ვსა
მოვიხსენიებ ქებითა.
ეხლა მჭირდება ს ხელი
წმიდა მოციქულ ქალის,
განმანათლებლად ვინც იყო
ჩვენი წარმართი მხარისა.
ორ მარცვლისაგან შესდგება,
პირველი იყოს ჩვენია,
და გამოგვივა შარადით
სახელი დამამშვენია.

ვარდენ ყიფიანი

მეგობარს

მე მირწევნია, შორს წამიყვანო,
შორს გოდგოთახე საწამებელად,
ვიდრე მესმოდეს კვლავ სიტყვა „ბლეხი“
ძველ საუკუნის დასამცირებლად.

ვარო ერიხთავი

ბედნიერი დღე

1918 წ. 26 ივნვარს საქართველოსათვის საბედნიერო ზარი ჩამოირეკა; დიდი ხნის ნატვრა —სურვილს ხორცი შეესხა და იწყო არსებობა: ამ დღეს ქ. თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. მეცნიერების ტაძარი, გონიერების სალარო, რასაც ასე მოწყურებული იყო ჩვენი ერი.

გაიხარეთით. მოქალაქენო, განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა- ეს დღე ისტორიული დღეთ ენდა დარჩეს ჩვენს მესსიერებაში' ვიხაროთ თუმც მრავალი ცუდი მომავლის აჩრდილები გვიტრიალებს გარს, მაგრამ უამედობა მაინც არ არის ჩვენი ერის წინსვლა და აღორძინებისა, ვიხაროთ. ვიბრძოლოთ, ვიმოქმედოთ და სწორედ ამით ვეზიებთ შვებასა და ბედნიერებას.

იხარე მოზარდო თაობავ. ასალგაზრდობავ, რომ შენსავე კერაზე ამოიფარებ თავს მეცნიერების ტაძარს და ჩრდილოეთის სუსხიანი ეინგები ფეხარ დაგიზრობენ ფაქიზ სულ-გულს. დაეწაფენით, დაკრიბეთ გულმოდგინეთ მეცნიერების ყვავილები, შეკრიეთ დიდ თაიგულად და მოუძღვენით თქვენს საყვარელ საქართველოს რო იმის სიცხოველე და საამური სურნელ-ოვნებით დასტკბოთ შრავალ წლობით განაწამები ჩვენი ქვეყანა.

ქართველო დედებო! იხარეთ თქვენი შვილები აწ ალარ იქმნებიან უსწავ მსხვეურპლნი ჩრდილოეთის ნესტიანი ჭაობისა.

ვიხაროთ ყველამ, ვისაც კი შეგვიწევს ძალა ამისათვის და უსურვოთ ყოველგვარ ჩვენს ნორჩს ქართულ უნივერსიტეტს და გაძლერკვებ მის ხელმძღვანელთ-

კლავდია გაბუნია

სახალხო სახლის რეჟისორ კ. შათირიშვილის საბენეფისოდ თებერვლის 1-ს დასდგეს ჩვენი ნიჭიერ ბელეტრისტ ია ეკალაძის ახალი ორიგინალური დრამა „ნომერი ოცდაერთი ჯვრით''. პიესა მშვენიერი სახალხო ენით არის დაწერილი, საესეა ხალხური ანდაზა-გამოქმ

მებით, რომელიც პიესას მეტს ელფერსა სდებს და ღირსეულ დონეზედ აყენებს. პიესა აღებულია 1907წ-დან როდესაც რევოლიუცია დამარცხდა და რეაქციამ-უფრო ფართედ ვაშალა ფრთები. ჯურღმულში ბეჭდავენ რევოლიუციონერი მუშები, მათში შემოპარულია ჯაშუში ებრაელი ლეონ ბერგი, რომელმაც ამხანაგების ნდობა დაიმსახურა და გასცა. ლეონს და ერთ რევოლიუციონერ ქალს განო ლიმაურს შეუყვარდათ ერთმანეთი. განო უყვარდა აგრეთვე მუშა ირაკლი კოზირიძეს. ირაკლი ეჰვის თვალით უყურებს ლეონს, მაგრამ ამხანაგები მის ეჰვებს პირად ნგარიშს აწერენ. ერთხელ კრებაზედ, სადაც თვით ბერგი თავჯდომარეობდა, ჟანდარმერია ესხმის თავს და ატუსაღებენ, როდესაც ბერგს მიუახლოვდებიან ის იძახის ნომერი ოცდაერთი ჯვრით ჟანდარმები მაშინვე სამხედრო სალამს აძლევენ. პიესა მესამე მოქმედებით თავდება. რაც შეეხება იმას, რომ ავტორმა მეოთხე მოქმედებაც მიაკერა, ჩვენის აზრით იმიტომ რომ უფრო უკეთ დაეხატნა ქართველი ქალი ირაკლი ბევრჯერ აფრთხილებდა განოს ბერგი ჯაშუშია, მაგრამ იმას მაინც არა სჯერდა. როდესაც ირაკლი ჟანდარმს დაემალება, იმაზედ-ღა ჰფიქრობს რომ შური იძიოს. და მართლაც, როდესაც ლეონი და განო გაემგზავრებიან, ირაკლი გაჰყვება და ლეონს დახჭრის. დაჭრილს ლეონს, ვიდრე დარწმუნდება, რომ ის ჯაშუშია გვერდიდან არა შორდება განო. ირაკლი კლავ აფრთხილებს განოს. როდესაც განო რწმუნდება თავის ხელით არჩობს. საკვირველია რადა ჰყავს ავტორს ჯაშუშად გამოყვანილი ებრაელი; რეაქციის ხანაში-კი ქართველებიც ჯაშუშობდნენ. პიესაში შიგა და შიგ გადაჭარბებული მსჯელობა. საერთოდ მშვენიერიჩ და იმედია საპატიო ადგილს დაიჭერს სახალხო თეატრის რეპერტუარში. აღმსრულებელთაგან აღსანიშნავია თ. გოგოლაშვილი (განო ლიმაური) ალ. შანშიაშვილი (ირაკლი კოზირიძე) ს. რომანიშვილი — როტმისტრი ხრაპი კარგები იყვნენ ნ. ჭანკვატაძე — ლეონ ბერგი, ნ. გოცირიძე — გარეგინ ბარდაშიანი, ვ. მარგველაშვილი —ქეთო ლაშხი და მინდიაშვილი —როტმისტრ შვილევი. პიესა თებერვლის 4-ს განმეორდა ხალხი ორჯერე ბლომად დაესწრო,

ნე—ლი

ა ჭალის აუდიტორიაში კვირას თებერვლის 4-ს ახლად დაარსებულმა სექციამ მსახიობ პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით დასდგა „არსენა''. პიესა ცოცხლად ჩაატარეს. აღსანიშნავია პ. ფრანგიშვილი არსენას როლში. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამო ნებიც დაიშალა. ვუსურვებთ წინსვლას.

ა—

ქართულ კლუბში ქართულმა დრამამ თებერვლის 2 წარმოადგინა ვ. შალნკაშვილის ახალი ორიგინალური პიესა „გაწყვეტილი ჯაჭვი'' რევოლიუციის წინა ხანიდან აღებული. ვრცლად შემდეგ—

წვრილი ამბები

მოგზაური დასი შესდგა დავით კობახიძის თაოსნობით და რეჟისორობით „დემოსი"—ს (ხალხის) სახელწოდებით.

სტრეიდი ში თებერვლის 18 დავ. კობახიძის მოგზაურ დასის „დემოსის" მიერ ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოთ გაიმართება საღამოწარმოდგენა

ახალი წიგნები გამოვიდა: 1)ი. ვართაგვას კრიტიკული მიმოხილვა „შიო მღვიმელი და ბავშთა სამყარო," გვ. 135 ფ. 80 კ. 2) პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა," შედ. ა. ჭიჭინაძის მიერ, 128 გვ. მრავალი სურათით, ორი რუქით და ყდით, თ. 2 მ. 50 კ. გამოცემანი თ. ა. მთავრიშვილისა და ამ. წიგნის მაღაზიის გამოცემა ქუთაისში. ორივე წიგნი სუფთადაა გამოცემული, კარგს ქაღალდზე, საჭირო და სასარგებლო.

სამწუხარო მკვლელობ ნი ჰხდება ამერ-იმერეთში. ქართლში ამოხოცეს რამდენიმე თავადიშვილის ოჯახი, მათ შოლის ბევრი ხალხის გულშემატკივარი ადამიანიც. როგორც ეტყობა ამ მკვლელობას ხელ მძღვანელობენ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მტრები.

ყარამან კიკნაველიძე თავისი ოჯახობით—ახლახან ჯვარიდაწერილი მეუღლით (ქვარიანის ასული), მოხუცი დედით, დით და ძმებით ამოხოცეს კიკნაველეთში. ეს ის ყარამან კიკნაველიძეა, რომელმაც სპარსეთში დიდი საქმეები დაიწყო, ქონება შეიძინა, ამას წინად ქართულ უნივერსიტეტს ასი თუმანი გადასცა, კი დევ დახმარება აღუთქვა და სხვათა შორის ფიქრობდა, ხელმოკლე სტუდენტთა თავშესაფარის აგებას თბილისში. 1905 წ. მოძრაობაშიაც დიდს მონაწილეობას იღებდა. ნამდვილი მამულიშვილი-დემოკრატი იყო. მისი სიკვდილი საერთო მწუხარებას იწვევს.

განცხადება წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის მასწავლებელი პორუჩიკი ალ. გორგაძე სოფ. წინამძღვრიანთ კარში აღებს 1 ივნისიდან სკოლას ცის ქვეშ (გერმანიულ სისტემის) ქალაქის სუსტ ბავშვებისათვის მიიღებიან მხოლოდ ქართველი ბავშვები 8—15 წლ. სკოლას მიზნად აქვს ფიზიკურათ სუსტი ბავშვები გამოაკეთოს. მსურველებმა უნდა გაგზავნონ ცნობა შემდეგი მისამართით: სად. მცხეთაში წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელს ალ. გორგაძეს

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა

„თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ შემოსწირეს:

კრ. კოდელიშვილმა	5 მ.
ალ. ალექსიძემ	25 მ.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნი.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი